



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

16 აპრილი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №108

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა პრემიების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 დეკემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ №40 დადგენილების შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობის შედეგებში შეტანილი თითოეული საჯარო მოსამსახურის პირადი წვლილისა და საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, მიეცეთ პრემია საკრებულოს შემდეგ საჯარო მოსამსახურეებს:

- ა) კობა საბალაშვილს – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს – 850 ლარი;
- ბ) ვალერიან გირკელიძის – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კომისიის თავმჯდომარეს – 850 ლარი;
- გ) ხვიჩა კილაძეს - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარეს – 850 ლარი;
- დ) კახა ღლონტს - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“-ს თავმჯდომარეს – 850 ლარი;
- ე) პაატა ბურჭულაძეს – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს - 600 ლარი;
- ვ) ლაშა თავაძეს - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების, საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსს – 600 ლარი;

მუხლი 2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14)

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი

